

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments> განთავსებული “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.4. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გთავაზობთ “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში” (შემდგომში “სტანდარტული პირობები”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. შეიცვალოს სტანდარტული პირობების 1.1. პუნქტით განსაზღვრული ტერმინის „ბარათის მფლობელი (კლიენტი)“ განმარტება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბარათის მფლობელი (კლიენტი) – პირი, რომელიც იყენებს საბანკო ბარათს ან Digital Wallet-ს ემიტენტთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

2. სტანდარტული პირობების 1.1. პუნქტს დაემატოს ტერმინი „Digital Wallet“ შემდეგი რედაქციით:

Digital Wallet - პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ინახავს კლიენტის ბარათთან ასოცირებულ თოქენს და შესაძლებელს ხდის ანგარიშსწორება განხორციელდეს ელექტრონული კომერციით და/ან პოს ტერმინალით. Digital Wallet-ით განხორციელებულ ტრანზაქციებზე ვრცელდება ამ ხელშეკრულებით საბარათე ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული პირობები.

3. სტანდარტული პირობების 2.1. პუნქტს დაემატოს 2.1.4. ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

2.1.4. შეატყობინოს კომპანიას თაღლითური ტრანზაქციის თაობაზე ბარათის ემიტენტის მიერ განცხადების და/ან ჩარჯბეკის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

4. სტანდარტული პირობების 2.1. პუნქტს დაემატოს 2.1.5. ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

2.1.5. უზრუნველყოს ტრანზაქციის თანხის კომპანიის ანგარიშზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადარიცხვა / ასახვა ტრანზაქციის განხორციელებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

5. სტანდარტული პირობების 3.1. პუნქტს დაემატოს 3.1.15.-3.1.19. ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

3.1.15. არ მოითხოვოს მომხმარებლისგან ბარათის შესახებ ინფორმაციის (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და ა.შ.) კომპანიის ვებგვერდზე შეყვანა; არ დაუშვას ბარათის შესახებ ინფორმაციის შენახვა და/ან გამჟღავნება/გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა) და მკაცრად დაიცვას საბარათე ოპერაციების შესრულების უსაფრთხოება.

3.1.16. დაიცვას მომხმარებლის კონფიდენციალურობის პოლიტიკა.

3.1.17. იქონიოს და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შეინარჩუნოს შესაბამისი მოწყობილობები, აპარატურა და/ან სხვა საშუალებები (მათ შორის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, შიდა კონტროლის მექანიზმები და სხვა სახის ტექნიკური აღჭურვილობა) ინფორმაციის უსაფრთხოების / კონფიდენციალურობის სტანდარტების დაცვის და კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობის მიზნით.

3.1.18. ტრანზაქციის განხორციელებამდე გადამხდელისათვის თვალსაჩინო გახადოს ტრანზაქციის თანხა.

3.1.19. არ განუცხადოს უარი მომხმარებელს საქონლის/მომსახურების შექენაზე ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სერვისის გამოყენებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია / ტრანზაქცია კომპანიის მიერ საეჭვოდ იქნა მიჩნეული.

6. სტანდარტული პირობების მე-4 მუხლს დაემატოს 4.10. პუნქტი შემდეგი რედაქციით:

4.10. ბანკი პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ განხორციელებული ქმედებ(ებ)ის (მათ შორის კომპანიის

ვებგვერდის, აპლიკაციის ან მისი ნებისმიერი კომპონენტის მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ცვლილების, სანქცირებული / არასანქცირებული (მათ შორის თაღლითური) ან ნებისმიერი სხვა სახის წვდომის) შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე / ზარალზე.

7. შეიცვალოს #1 დანართის მე-8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8. ვებგვერდზე წარმოდგენილი უნდა იყოს და მომსახურების/საქონლის შექმნამდე მომხმარებელი უნდა დაეთანხმოს:

- კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკას;
- გარიგების უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკას;
- ანგარიშსწორების პოლიტიკას;
- ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის პოლიტიკას.

8. შეიცვალოს #1 დანართის მე-9 პუნქტის ნუმერაცია და დაინომროს მე-10 პუნქტად (პუნქტის რედაქციის შეუცვლელად), ხოლო მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9. ვებგვერდზე წარმოდგენილი უნდა იყოს დისკრიპტორი (კომპანიის სავაჭრო დასახელება) გადახდის დასრულებამდე, რომელიც დაფიქსირდება კლიენტის ამონაწერში.

9. შეიცვალოს #3 დანართის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. ვებგვერდის TBC Checkout -ი სისტემასთან ინტეგრაციის პარამეტრები გამოუჩნდება კომპანიის ადმინისტრატორს და კომპანიის ადმინისტრატორის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ მომხმარებლებს.